მიმდინარე

ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურში გამართული თათბირის

**ოქმი N 5**

**2023 წელი 11 სექტემბერი**

**თათბირს ესწრებოდნენ:**

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის უფროსი **მანანა ჩაგელიშვილი**

განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების უფროსი **ხათუნა ღუღუნიშვილი**

განათლების მიმართულებით უფროსი სპეციალისტი **ლამარა გამყრელიძე**

**მოწვევით:** ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბაგა- ბაღის დირექტორი **მზია გუგეშაშვილი**

**დღის წესრიგი:**

მუნიციპალიტეტის ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ამ ეტაპისთვის განსახორციელებელი გადაუდებელი ღონისძიებების გატარების შესახებ

მომხსენებელი **მანანა ჩაგელიშვილი**

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა,

ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის უფროსი

სამსახურის უფროსმა მ. ჩაგელიშვილმა თათბირის მონაწილეების ყურადღება მიაპყრო 2023-2024 სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყების საკითხს და თქვა, რომ ახლა როცა სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი, რაც შეიძლება თანამიმდევრულად წარიმართოს სკოლამდელი დაწესებულებების ავტორიზაცია, ჩვენც მეტი პასუხისმგებლობა გვმართებს. ცალკე გამოყო საკითხი იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენს მიერ ივნისის თვეში მოხდა გამოცდილების განზოგადება ქალაქ ბათუმში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე, სადაც ჩვენ გამოვაცხადეთ, რომ მუნიციპალიტეტში არცერთი ბავშვი არ დარჩება სასკოლო მზაობის პროგრამის გავლის გარეშე და ეს ყველაფერი ამ ეტაპზე, განხორციელდება სწორედ ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბაგა- ბაღის მიერ.

ჩვენი დღევანდელი შეკრების მიზანია განსახორციელებელი გადაუდებელი ღონისძიებების დეტალური გაანალიზება და შესაბამისი გადაუდებელი ღონისძიებების დაგეგმვა.

გასატარებელი ღონისძიებების ჩამონათვალის წარმოსადგენად სიტყვა გადასცა განათლების მიმართულებით უფროს სპეციალისტს ლამარა გამყრელიძეს.

ლ. გამყრელიძემ, აღნიშნა რომ სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყებას სერიოზული ხელშეწყობა სჭირდება. განსაკუთრებული დახმარებაა საჭირო ალტერნატიული ცენტრებისთვის, რომლებიც გადაუდებელ მეთოდურ დახმარებას საჭიროებენ, რათა ახლადდანიშნული აღმზრდელები სასწავლო წლის დაწყებას უფრო მომზადებული შეხვდნენ.

2023- 2024 სასწავლო წლის დაწყების წინ გასატარებელი გადაუდებელი ღონისძიებები ასეთ სურათს იძლევა:

1. სოფელ ჟაშქვაში ადგილზე გასვლაა საჭირო, რათა დავაზუსტოთ ლალი მაისურაძის ბავშვისთვის სასკოლო მზაობის მიწოდების საკითხი. კერძოდ ბავშვი ცხოვრობს ბებიასთან. დედა ლალი მაისურაძე კი, ცხმორში. უნდა დადგინდეს, სად უნდა გავხსნათ ალტერნატიული ცენტრი;
2. იმის გათვალისწინებით, რომ ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტში გაიხსნება 4 ალტერნატიული ცენტრი, ასევე მეთოდური დახმარება ესაჭიროებათ სოფელ გლოლის საბავშვო ბაღის აღმზრდელებს, აღნიშნული დამატებითი სამუშაოების შესრულებისთვის ბაგა- ბაღის მეთოდისტს უნდა განესაზღვროს სამუშაოთა აღწერილობაში ამ მიმართულებით მუშაობა. შესაბამისად, უნდა განესაზღვროს სახელფასო განაკვეთი;
3. ალტერნატიულმა ცენტრებმა სასწავლო წელი უნდა დაიწყონ 2 ოქტომბერს;
4. მერთან შეთანხმებით, უნდა დაინიშნონ ალტერნატიული ცენტრების აღმზრდელები;
5. ბაგა- ბაღის დირექტორმა უნდა დაწეროს ალტერნატიულ ცენტრებში აღმზრდელების დანიშვნის ბრძანებები 18 სექტემბრიდან. ბრძანების დაწერიდან, უახლოეს დღეებში ბაგა-ბაღის დირექტორმა უნდა გამოაცხადოს საბავშვო ბაღში ღია კარის დღეები, იმ ვარაუდით, რომ აღნიშნული ცენტრების აღმზრდელებმა 2 ოქტომბრამდე მოახერხონ დაათვალიერონ ჯგუფის ოთახები და შეიქმნან წარმოდგენები ჯგუფის ოთახის მოწყობასთან დაკავშირებით, ისწავლონ სასწავლო პროცესის დაგეგმვა და სხვა საკითხები, რასაც ზედამხედველობას გაუწევს ბაგა-ბაღის მეთოდისტი;
6. მიმდინარე წლის სექტემბრის ბოლომდე ბაგა-ბაღის დირექტორმა ავტორიზაციის შესაბამისობის გეგმის შესაბამისად, უნდა წარმოადგინოს 2024 წლის ბიუჯეტში გასათვალისწინებელი თანხების სრული მოცულობები. ასევე, წარმოადგინოს ბაგა- ბაღის 5 წლიანი სამოქმედო გეგმა და 2024 წლის სამუშაო გეგმა, რომელიც უნდა გამომდინარეობდეს ბაგა-ბაღის 5 წლიანი სტრატეგიული სამოქმედო გეგმიდან;
7. მიმდინარე წლის 20 სექტემბრამდე ბაგა-ბაღის დირექტორმა უნდა წარმოადგინოს მოხსენებითი ბარათი, სოფელ გლოლის ბაღის კაპიტალური რემონტის გადაუდებელი საჭიროების თაობაზე.

**დაადგინეს:**

1. აყვანილ იქნას კონტროლზე წარმოდგენილი გადაუდებელი ღონისძიებების ჩამონათვალის შესრულების საკითხი და დაცული იქნას საამისოდ მითითებული ვადები;
2. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე დაევალოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების უფროსს **ხათუნა ღუღუნიშვილს.**

**ოქმი შეადგინა:** ლამარა გამყრელიძემ

2023 წლის 11 სექტემბერი